

განათლების სოციალური ფუნქციის საკითხის განსაზღვრისათვის

ქეთევან ჭკუასელი

ივანე ჯავახიშვილის სხელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკისსასწავლო-სამეცნიეროინსტიტუტისპროფესორი, პედაგოგიკისმეცნიერებათა დოქტორი

ანოტაცია

განათლება სოციალური ფენომენია. მისი აღმოცენება, არსობრივად ადამიანის გაჩენას ემთხვევა. სახელმწიფოებრივი და მიზანმიმართული ხასიათი განათლებისა და სწავლების პროცესმა ანტიკურ ცივილიზაციაში შეიძინა.

განათლების სახელმწიფოებრივმა ხასიათმა განაპირობა მისი სოციალური საჭიროებების, სოციალური ფუნქციების განსაზღვრა. „სოციალური ფუნქცია ის როლია, რომელსაც სოციალური ინსტიტუტი ასრულებს საზოგადოების დაკვეთებითან მიმართებით“.

განათლების სოციალური ფუნქციები დროისა და ეპოქის შესაბამისად იცვლება. მაშასადამე, განათლების სისტემამ, როგორც სოციალურმა ინსტიტუტმა, საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით, მოქმედების მიზანი და პროცესი საზოგადოების დაკვეთების შესაბამისად უნდა ააგოს. თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში აქტუალური გახდა სწავლის შედეგის ცნება. სწავლის შედეგი ასახავს იმ კომპეტენციების ფლობას, რომელიც აუცილებელია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, განათლების სოციალური ფუნქცია წარმოადგენს პიროვნების მომზადება იმ სწავლის შედეგების შესატყვისად, რომელიც აუცილებელია თანამედროვე საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის.

საქართველოს განათლების სიტემის სოციალური ფუნქციები ასახულია დოკუმენტებში - საქართველოს ზოგადი განათლება ეროვნული მიზნები, საქართველოს კანონები ზოგადი და უმაღლესი განათლების შესახებ. თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს საერთაშორისო სივრცეში. შესაბამისად, გლობალურად, განათლების სოციალური ფუნქციების პრიორიტეტულ მიმართულებებად დღეს, თანამედროვე ადამიანებში ზოგადკაცობრიული მოთხოვნებისა და ნორმების ფორმირება და დაცვა გახდა.

საკვანძო სიტყვები: განათლება, სოციალური ფუნქცია, სწავლის შედეგი.

სოციალიზაციის პროცესი. ადამიანი სოციალური არსებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი თავისი ცხოვრების პირველივე დღეებიდან ჩართულია მსგავს ინდივიდებთან ურთიერთობებში. ადამიანი პირველ სოციალურ გამოცდილებას ჯერ კიდევ მეტყველების დაწყებამდე იღებს. თავად ტერმინი - socialis ლათინური წარმოშობისაა და საზოგადოებრივს ნიშნავს. მაშასადამე, ადამიანი, გაჩენის დღიდან, უნდა

მოვამზდოთ საზოგადოებაში ჩართვისა და საზოგადოების დაკვეთების შესრულებისათვის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცხოვრებისათვის. ცხოვრება ადამიანისაგან უცილობლად მოითხოვს იმ ვალდებულებების აღსრულებას, რომელიც საზოგადოებამ განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე შეიმუშავა. ზოგადი გაგებით ამ პროცესს შეიძლება სოციალიზაციის პროცესი ვუწოდოთ. სოციალიზაცია ინდივიდის მიერ სოციალური გამოცდილების გაზიარებისა და შემდგომი აქტიური რეალიზაციის პროცესი და შედეგია. ეს პროცესი უწყვეტადაა დაკავშირებული ადამიანთა შორის ურთიერთობებსა და მათს ერთობლივ საქმიანობასთან. მაშასადამე, სოციალიზაცია არის ადამიანის მიერ საზოგადოებრივი ცოდნის, ნორმებისა და ღირებულებების შეთვისების პროცესი იმ ნიშნით, რომ მას შეეძლოს საზოგადოებაში ფუნქციონირება და, ამასთანავე, გრძნობდეს თავს საზოგადოების სრულფასოვან წევრად.

თუმცა, მიუხედავად მისი ამგვარი ხასიათისა, სოციალიზაცია არ შეიძლება იყოს გაგებული, როგორც გარეგან ზემოქმედებათა მარტივი ჯამი. იგი ინდივიდზე ზემოქმედების მთლიანი, ერთიანი პროცესია, რომელიც იწვევს ამ ინდივიდის ადაპტაციას საზოგადოებასთან. სოციალიზაციის პროცესის შედეგად ინდივიდი იძენს იმ ცოდნასა და უნარებს, იმ ღირებულებათა სისტემას, რომელიც იმ კონკრეტული საზოგადოების, ეპოქის მახასიათებელია, რომელშიც ცხოვრობს იგი. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდი არ არის სოციალიზაციის პროცესის მხოლოდ ობიექტი, ანუ იგი პასიურად კი არ ღებულობს კონკრეტული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, არამედ იგი ამ პროცესის სუბიექტიცაა, რომელიც შემოქმედებითად მოქმედებს ურთიერთობათა არსებულ საზოგადოებრივ ფორმებზე და ცვლის, სრულყოფს, განავითარებს ამ ფორმებს. ამიტომ სოციალიზაციის პროცესი მით უფრო წარმატებულია, რაც უფრო აქტიურია ინდივიდის მონაწილეობა საზოგადოებრივ ურთიერთობათა შემოქმედებით გარდაქმნაში, რომლის დროსაც იცვლება მოძველებული ნორმები, ღირებულებები და საზოგადოებრივი ღირებულებები ახალ, თანადროულ ფორმას ღებულობენ. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ სოციალიზაციას ისტორიული ხასიათი აქვს.

სოციალიზაციის პროცესის მართვა. ინდივიდის სოციალიზაციის პროცესი საზოგადოების განვითარების გარკვეულ დონემდე სტიქიურ, არარეგულირებად ხასიათს ატარებდა და მხოლოდ ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის ფუნქცია ჰქონდა. საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ, კერძოდ, ადრეულ მონათმფლობელურ ცივილიზაციებში, ამ პროცესებმა სახელმწიფოს მიერ მიზანმიმართული, რეგულირებული და კონტროლირებადი ხასიათი შეიძინა და სოციალიზაციის, ანუ ადამიანის ცხოვრებისთვის მომზადების პროცესში ჩაერთო საზოგადოებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ფენომენი, როგორც აღზრდის პროცესია. ინდივიდის სოციალიზაციისათვის აუცილებელია მისი ბუნებრივი, ფიზიოლოგიური მონაცემების განვითარება და იმ ფორმით ჩამოყალიბება, რა ფორმასაც არსებული საზოგადოება მოითხოვს. ამ პროცესს კი აღზრდა ეწოდება - **აღზრდა პიროვნების ფორმირების**

პროცესია. სწორედ აღზრდის პროცესის საშუალებით იგეგმება აქტივობათა და ღონისძიებათა ის მთლიანი ციკლი, რომელიც მიმართულია პიროვნების განვითარებასა და ფორმირებაზე, პიროვნების ცხოვრებისათვის მომზადებაზე. მაშასადამე, აღზრდის პროცესი წარმართავს ადამიანის სოციალიზაციას, რომელსაც ინდივიდისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღზრდის პროცესით იმართება, რეგულირდება მოზარდის სოციალიზაციის პროცესი. ამიტომ, სკოლის, ოჯახის, ყველა სოციალური ინსტიტუციის და მთელი საზოგადოების ძალისხმევა და გულისყური მიმართული უნდა იყოს მომავალი თაობის აღზრდის პროცესისაკენ.

მაგრამ ისმის კითხვა - როგორ, რა გზებითა და საშუალებებით ხორციელდება თავად მოზარდის აღზრდა? აღზრდის პროცესის განხორციელების ცენტრალურ გზას, ცენტრალურ საშუალებებს, განათლება და სწავლება წარმოადგენს. ეს დებულება რომ გავშიფროთ, აუცილებელია მოკლედ განვიხილოთ განათლებისა და სწავლების ცნებები.

განათლება და სწავლება

თანამედროვე გაგებით განათლება ცოდნის შექმნის პროცესი და შედეგია. განათლება პიროვნების ფორმირების რთული, სოციალური ხასიათის, ორგანიზებული და მიზანმიმართული ერთიანი პროცესის - აღზრდის ორგანული ნაწილია. ზოგადად, განათლება წარმოადგენს ცოდნა-ჩვევათა ჯამს, რომელსაც მოსწავლე დაეუფლება მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით და დამოუკიდებლად. მაშასადამე, განათლება თავისი არამეცნიერული, ყოფითი გაგებით წარმოადგენს საკითხთა იმ ჩამონათვალს, რომელსაც მოსწავლე ითვისებს. საკითხთა ჩამონათვალი კი ამა თუ იმ ეპოქაში დამოკიდებულია თავად ეპოქის თავისებურებებზე - მის სოციო-კულტურულ დონეზე და პოლიტიკურ მიმართულებებზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების სოციო-კულტურული დონე უნდა აისახოს განათლების შინაარსში. ამას გარდა, პედაგოგიკის მეცნიერების პოზიციიდან საკითხთა ჩამონათვალის, ანუ განათლების შინაარსის განსაზღვრისას, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლის ასაკს, რომელიც თავის მხრივ, სასწავლო საფეხურითაა განპირობებული. კერძოდ, დაწყებითი განათლების საფეხურზე საკითხთა ჩამონათვალი და შინაარსი განისაზღვრება ამ ასაკობრივი ჯგუფის თავისებურებებით, საბაზო საფეხურზე შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის თავისებურებებით და ასევე, საშუალო საფეხურზეც. სწორედ ამიტომ საუბრობენ დაწყებითი, საბაზო და ზოგადი განათლების მიზნებზე და სწავლის შედეგებზე, განათლების პროცესზე და შედეგზე. მაგრამ მეცნიერული გაგებით განათლება, ცხადია, არ არის მხოლოდ საკითხთა ჩამონათვალი. საქმე იმაშია, რომ ცოდნის, ანუ საკითხთა გადაცემის ერთადერთ გზას, **სწავლება** წარმოადგენს, ანუ, პროცესი, რომელშიც ერთდროულად ჩართულია მასწავლებლისა და მოსწავლის მოქმედიანობა. „ამ ერთიანი მოქმედიანობის გამომხატველი სიტყვაა ს წ ა ვ ლ ე ბ ა. სწავლებას, როგორც ერთიან პროცესს, ორი მხარე აქვს: მასწავლებლის მოქმედიანობა, რომელიც საკუთრივ სწავლებაში, ცოდნის გადაცემაში გამოიხატება, და მოსწავლის

მოქმედია, რომელსაც სწავლა, შეთვისება ეწოდება. სწავლების პროცესში მასწავლებელი გადასცემს, ხოლო მოსწავლეები ითვისებენ ცოდნას და ამ აქტიური სასწავლო კავშირის საფუძველზე თვისებრივად გარდაიქმნიებიან, ვითარდებიან.“/დ.ლორთქიფანიძე, დიდაქტიკა, 1986/.

მაშასადამე, გარკვეული/ასაკის შესაბამისი/ ცოდნის გადაცემა და ამ ცოდნის შეთვისება იწვევს არა უბრალოდ ცოდნათა ჯამის დამახსოვრებას ბავშვის მიერ, არამედ ეს ცოდნათა ჯამი და მასთან ერთად, ცოდნის გადაცემის/სწავლების/ მეთოდების რაგვარობააუცილობლობით იწვევს ბავშვის ფსიქო-ფიზიოლოგიური, მათ შორის სოციალური უნარების განვითარებას. სწორედ ესაა აღზრდა, ანუ იმ უნარების განვითარების ხელშეწყობა, რომელიც ინდივიდს, როგორც ბიოლოგიურ ორგანიზმს, პოტენციაში აქვს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღზრდის პროცესი /განათლება და სწავლება/ ემსახურება ბავშვის განვითარებას, გეგმავს მისი ამა თუ იმ ფსიქო-ფიზიოლოგიური უნარის განვითარებას. ხოლო თუ რა უნარების განვითარება უნდა გამოიწვიოს განათლებამ და სწავლებამ, შესანიშნავად განისაზღვრა ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის მოაზროვნეების პლატონისა და არისტოტელეს მიერ, რომლებმაც იმ პერიოდის აღზრდის სისტემების /სპარტა და ათინა/ გაანალიზების შედეგად, პრაქტიკულად პირველად კაცობრიობის ისტორიაში, განსაზღვრეს აღზრდის მიზანი და ამოცანები. ანუ, განსაზღვრეს ადამიანის არსებობისათვის ის აუცილებელი მახასიათებლები, რომელიც მას საზოგადოების აქტიურ წევრად აღიარებდა. კერძოდ, ესაა პიროვნების ჰარმონიული განვითარების იდეა, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ადამიანის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებას. ეს ის უნარებია, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის სოციალურ არსებობას და თავად ამ სოციალურ განვითარების პირობებს.

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ განათლების, როგორც პროცესის სტიქიური აღმოცენება, არსობრივად ადამიანის გაჩენას ემთხვევა, სახელმწიფოებრივი და მიზანმიმართული ხასიათი განათლებისა და სწავლების პროცესმა ანტიკურ ცივილიზაციაში შეიძინა. სწორედ განათლების სახელმწიფოებრივმა ხასიათმა განაპირობა მისი, როგორც პროცესის და შედეგის სოციალური საჭიროებების, სოციალური ფუნქციების განსაზღვრა, რომელიც, თავის მხრივ, საზოგადოების კულტურის დონითაა განპირობებული. ამიტომაც მეცნიერულ ლიტერატურაში განათლება განიხილება, როგორც - სისტემური, მეცნიერული ცოდნის შექმნის პროცესი და შედეგი.

განათლება მოიაზრებს ადამიანის მიერ ცოდნის დაუფლებას და მის საფუძველზე უნარებისა და ჩვევების განვითარებას, კაცობრიობის მიერ ამა თუ იმ სფეროში დაგროვილი გამოცდილების მიზანმიმართულ შეთვისებას. მაშასადამე, განათლება საზოგადოების კულტურასთან მიმართების თავისებური და აუცილებელი ფორმაა, განათლების გარეშე ადამიანი ვერ გახდება საზოგადოების სრულფასოვანი წევრი. დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, რომელმაც საქართველოში

პირველმა გამოსცა პედაგოგიკის სახელმძღვანელო (“პედაგოგიის საფუძვლები”), განათლების შესახებ წერს: “ ჭეშმარიტი განათლება განვითარებული გონების და გაწურთნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად, და თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის და, ჩვენის ფიქრით, ისევ გონება განუვითარებელი და ზნე-ხასიათ გაწურთვნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონება-განვითარებული და ზნე-ხასიათ გაუწურთვნილი.” /პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი, 1938, გვ. 321/.

ყოველივე ამის გამო შეიძლება ვთქვათ, რომ განათლება განსაზღვრავს ადამიანის სულიერ კულტურას. განათლების გარეშე ადამიანისათვის მიუწვდომელი იქნება საზოგადოების მონაპოვარი მისი განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე, იგი ვერ დააკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნებს. განათლების გარეშე ადამიანს სერიოზული პრობლემები შეექმნება ცხოვრებისა და შრომითი მოწყობის პროცესში. სწორედ ესაა **ზოგადი გაგებით განათლების სოციალური ფუნქცია.** მაშასადამე, **განათლების სოციალური ფუნქცია ადამიანის ცხოვრებისთვის, სოციალური ღირსეული წევრობისთვის მომზადებაა.**

განათლების სოციალური ფუნქციის ამ ზოგადი განსაზღვრიდან გამომდინარე, შესაძლოა ვიმსჯელოთ განათლების კონკრეტულ სოციალურ ფუნქციებზე. განათლების კონკრეტული სოციალური ფუნქციების განსაზღვრა, ცხადია, საზოგადოების განვითარების დონიდანაა შესაძლებელი. სხვადასხვა სოციალური დატვირთვები ჰქონდა განათლებას საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე და, შესაბამისად, განათლების ეს დატვირთვები, იმ კონკრეტული საზოგადოების და ქვეყნისა **ღზრდის მიზნიდან, პოლიტიკური ხედვიდან და საჭიროებებიდან** გამომდინარეობდა. გლობალურად და ძალზე ზოგადად, ადამიანთა საზოგადოებამ განვითარების პირველყოფილი, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და სოციალისტური /ვიტყოდით, ფსევდო სოციალისტური/ ეტაპები გაიარა და, მაშასადამე, განათლების სოციალური ფუნქციები სწორედ განვითარების ამ ეტაპების მოთხოვნებიდან გამომდინარეობდა. ასეთ ვითარებაში, ცხადია, არ უნდა დგვა ვიწყდეს **ღზრდის /განათლებისა და სწავლების/** ის ფუნდამენტური, საბაზისო მოთხოვნები, რომლებიც ანტიკურ ეპოქაში განისაზღვრა და სისტემური სახე მიიღო. ნებისმიერ ეპოქაში, საზოგადოების განვითარების ნებისმიერ საფეხურზე, ადამიანი ვერაფრით აუვლის გვერდს ამ საბაზისო უნარების, კერძოდ, ადამიანის ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური უნარების განვითარებას. ესაა სწორედ საბაზისო უნარები, განვითარების საფუძველი, და ისინი მოიცავენ ნებისმიერი ეპოქის დაკვეთის შესაბამის ყველა სხვა უნარს, რომელთა განვითარება სწორედამ ამ უნარების განვითარების ხარისხზეა დამოკიდებული. ამ გადასახედიდან, განათლების სოციალურ ფუნქციაში აუცილებლად უნდა შედიოდეს:

გონებრივი უნარების განვითარების თვალსაზრისით

- ვერბალური და რაოდენობრივი აზროვნების უნარების ფორმირება;
- შემოქმედებითი აზროვნების ფორმირება
- ცოდნის გააზრებულად, შეგნებულად შეთვისების უნარის ფორმირება; ცოდნაში არსებითი და მეორეხარისხოვანი საკითხების გამოყოფის უნარის ფორმირება (ცოდნა ადამიანის ნამდვილი კუთვნილება უნდა იყოს);
- კრიტიკული ანალიზის უნარის ფორმირება;
- ცოდნის დამოუკიდებლად შეძენის უნარის ფორმირება;
- კომუნიკაციური უნარების ფორმირება;
- შეთვისებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის ფორმირება;
- მეცნიერული ცოდნის, სინამდვილის ძირითადი მოვლენების არსებითი მხარეებისა და კანონზომიერებების შეთვისების უნარის ფორმირება;
- მსოფლმხედველობის ფორმირება.

ზნეობრივი უნარების განვითარების თვალსაზრისით

- მოზარდში ზნეობრივი შეგნების, ზნეობრივი შეგრძნების და ზნეობრივი ქცევის წესების ფორმირება;
- მოზარდში ისეთი პიროვნული თვისებებისა და მსოფლმხედველობის ფორმირებას, რომ იგი თავისი ცხოვრების წესით მიმართული იყოს სხვა ადამიანის, მოყვასის უანგარო დახმარებისა და მხარდაჭერისაკენ.
- მოზარდში მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირება

ესთეტიკური უნარების განვითარების თვალსაზრისით

- მოზარდებში ესთეტიკური შეგნების, ესთეტიკური გრძნობისა და ესთეტიკური ქცევის ფორმირება;
- სინამდვილის - ბუნების, საზოგადოებრივი ცხოვრების, სოციალური ურთიერთობების, აზროვნების, ხელოვნების მრავალფეროვანი დარგების მშვენიერი მხაეების დანახვისა და განცდის, მათი გაგების უნარის განვითარება;
- ესთეტიკური კულტურის განვითარება.

ფიზიკური უნარების განვითარების თვალსაზრისით

- ჯანსაღი ორგანიზმის მომზადება იმ მიზნით, რომ ადამიანს შეეძლოს კანონზომიერი ფიზიკური და გონებრივი შრომა და საკუთარი სულიერი სიმდიდრის პრაქტიკულად გამოყენება

ყველა ამ უნარის განვითარება, ცხადია, შეუძლებელია შრომის გარეშე, რაც გამოიწვევს ადამიანის **შრომითი უნარების** განვითარებას, რომლის გარეშეც, შეუძლებელია ადამიანის არსებობა და საზოგადოების განვითარება.

სწავლის შედეგი

თანამედროვე საგანმანათლებლო და ყოფით სივრცეში აქტუალური გახდა **სწავლის შედეგის** ცნება. სწავლის შედეგი, ფაქტობრივად, ასახავს იმ **კომპეტენციების** ფლობას, რომელიც აუცილებელია თანამედროვე საზოგადოების დაკვეთების, შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, განათლების სოციალური ფუნქცია თანამედროვე მსოფლიოში, განათლების ზოგადი სოციალური ფუნქციის გათვალისწინებით, წარმოადგენს პიროვნების მომზადებას იმ **სწავლის შედეგების** შესაბამისად, რომელიც აუცილებელია თანამედროვე საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის. მამასადამე, დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში განათლების სისტემის მუშაობის უმთავრეს მიზანს საზოგადოების მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების/საზოგადოების საჭიროებების/ მიღწევა უნდა წარმოადგენდეს. სწორედ ესაა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე **განათლების კონკრეტული სოციალური ფუნქცია, იმ სწავლის შედეგების განვითარება ინდივიდში, რომელიც მას თანამედროვე სოციუმის ღირსეულ წევრად გახდის.** „სოციალური ფუნქცია ის როლია, რომელსაც სოციალური ინსტიტუტი ასრულებს საზოგადოების დაკვეთებთან მიმართებით“ „/С О Ц И А Л Ы Н Ы Е Ф У Н К Ц И И СИСТЕМ Ы О Б Р А З О В А Н И Я, ВЛАДИМИР ОСИПОВ/.

განათლების სოციალური ფუნქციის ამგვარი გაგების საფუძველზე, ჩვენთვის საინტერესოა თუ რა ფუნქციები აკისრია განათლების პროცესს თანამედროვე ქართული სახელმწიფოსა და ქართული საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და განვითარებისათვის.

უპირველესი დოკუმენტი, რომელიც მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით საქართველოს კონსტიტუციაა, სადაც 27-ე მუხლში განსაზღვრულია სახელმწიფოს დამოკიდებულება განათლების მიმართ, კერძოდ,

„ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. სკოლამდელი აღზრდა უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო.

მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება“. - „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის შესახებ - 3 მაისი, 2017 წელი N742-III

ქვეყნისათვის ამ უზენაესი კანონით, ქართული სახელმწიფო აცხადებს, რომ მისი მოქალაქეების განათლების პროცესში პრიორიტეტებია: განათლების უფლება; უწყვეტი

განათლება - სკოლამდელიდან ზრდასრულებამდე; სავალდებულო საბაზო განათლება; გარკვეული წესით პროფესიული და უმაღლესი განათლების დაფინანსება.

საქართველოს მთავრობამ კონსტიტუციის საფუძველზე განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების უზრუნველსაყოფად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით, 2004 წელს დაამტკიცა „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“, სადაც ცალსახადაა განსაზღვრული მოქალაქის ის უნარ-ჩვევები და ღირებულებები/კომპეტენციები - სწავლის შედეგები/, რომელიც განათლების სისტემამ უნდა განუვითაროს მოზარდს, რათა მან შეასრულოს თანამედროვე ქართული საზოგადოების დაკვეთები და, ამასთან, შეძლოს გაითავისოს, მსოფლიო მოქალაქეობის პრინციპები და კულტურათა თანაარსებობის ვალდებულებები. თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში განათლების სოციალური ფუნქციების ნათელსაყოფად, მოვიტანთ ვრცელ ამონარიდს საქართველოს „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან“.

„ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება- მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

- ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;
- ბ) ბუნებრივი გარემოპირობების შენარჩუნება და დაცვა;
- გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;
- დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება: სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;
- ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც; სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შექმნის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან; სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე: დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.

ზემოთ მოტანილ ორი დოკუმენტის შინაარსის ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ საქართველოს მთავრობა, გარდა პიროვნების საბაზისო უნარების განვითარებისა, **განათლების სოციალურ ფუნქციებად/ვალდებულებებად** აღიარებს საზოგადოებაში არსებობისათვის ისეთი მოქალაქეობრივი უნარ - ჩვევების განვითარებას მოზარდებში, როგორცაა: დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა; ადამიანის უფლებების და მათი დაცვის მექანიზმების გაცნობიერება და რეალიზაცია; დემოკრატიისა და აქტიური მოქალაქეობისათვის აუცილებელი კომპეტენციების ფორმირება; სამოქალაქო ცნობიერების ფორმირება; მდგრადი განვითარების კონცეფციის გაცნობიერება და დაცვა და სხვა. ნიშანდობლივია, რომ ამ უნარ-ჩვევების განვითარებას ქართული სახელმწიფო განათლების პროცესით გეგმავს, განათლების ეროვნულ მიზნებად მოიაზრებს, რაც კიდევ ერთხელ უსვავს ხაზს განათლების სოციალური ფუნქციის რაობას.

და ბოლოს, თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს საერთაშორისო სივრცეში. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ დააპატარავა მსოფლიო და ადამიანის ყოფის ვალდებულებად გახადა საერთაშორისო ნორმების დაცვა, სხვა კულტურებთან თანაარსებობა და ეროვნულ ღირებულებებთან ერთად, საერთაშორისო ღირებულებების აღიარება. შესაბამისად, გლობალურად, განათლების სოციალური ფუნქციების პრიორიტეტულ მიმართულებებად დღეს, თანამედროვეადამიანებში

ზოგადკაცობრიული მოთხოვნებისა და ნორმების ფორმირება და დაცვა, დემოკრატიულ კულტურაში აუცილებელი კომპეტენციების ფორმირება გახდა.

ეს კომპეტენციები და ღირებულებები კი გახმავანებულია დოკუმენტში - COMPETENCES FOR DEMOCRATIC CULTURE Living together as equals in culturally diverse democratic societies, რომლის სრულად წარმოდგენა საჭიროდ ჩავთვალეთ:

- ადამიანის ღირსებისა და ადამიანის უფლებათა ღირებულება (Valuing human dignity and human rights)
- კულტურული მრავალფეროვნების ღირებულება (Valuing cultural diversity)
- დემოკრატიის, სამართლიანობის, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის ღირებულება (Valuing democracy, justice, fairness, equality and the rule of law)
- კულტურული განსხვავებულობისადმი და სხვათა რწმენისადმი ღიაობა, მსოფლმხედველობა და პრაქტიკა (Openness to cultural otherness and to other beliefs, world views and practices)
- პატივისცემა (Respect)
- სამოქალაქო ზაროვნება (Civic-mindedness)
- პასუხისმგებლობა (Responsibility)
- თვით-ეფექტურობა (Self-efficacy)
- ტოლერანტობა გაუგებარი საკითხებისა??? (Tolerance of ambiguity)
- დამოუკიდებლად სწავლის უნარი (Autonomous learning skills)
- ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი (Analytical and critical thinking skills)
- მოსმენის და დაკვირვების უნარი (Skills of listening and observing)
- ემპათია (Empathy)
- მოქნილობა და ადაპტურობა (Flexibility and adaptability)
- საკომუნიკაციო, ლინგვისტური და პლურილინგვისტური უნარები (Linguistic, communicative and plurilingual skills)
- თანამშრომლობითი უნარები (Co-operation skills)
- კონფლიქტის მოგვარების უნარები (Conflict-resolution skills)
- საკუთარი თავის/პიროვნების ცოდნა და კრიტიკული გაგება/გააზრება (Knowledge and critical understanding of the self)
- ენის და კომუნიკაციის ცოდნა და კრიტიკული გაგება/გააზრება (Knowledge and critical understanding of language and communication)
- მსოფლიოს ცოდნა და კრიტიკული გაგება/გააზრება (Knowledge and critical understanding of the world)

ასეთია განათლების სოციალური ფუნქციების პრიორიტეტები XXI საუკუნის საქართველოსა და მსოფლიოში. აღზრდისა და განათლების პროცესის სირთულიდან გამომდინარე, განათლების სოციალური ფუნქციის აღსრულება ხარისხის თვალსაზრისით, არასდროს ყოფილა მარტივი და არც დღეს არის, მით უფრო, რომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიური პროცესების სწრაფი განვითარების პირობებში, საზოგადოების დაკვეთები განათლების მიმართ უსწრაფესად იზრდება. იმისათვის, რომ განათლების სისტემამ შეძლოს ამ სოციალური დაკვეთების შესრულება, აუცილებელია სისტემის ყველა რგოლის ერთიანი და მიზანმიმართული მოქმედება, პრიორიტეტების გამოკვეთა, სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ინსტიტუციებისა და

მთელი საზოგადოების მიერ პროცესის სირთულის გაცნობიერება და ერთიანი აქტიური მოქმედება.

ლიტერატურა:

1. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ორიენტირი - ევრო-ატლანტიკურ სივრცესთან ინტეგრაცია.
2. ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტია, ნიცა, 2000
3. ევროკავშირის პოლიტიკა სამოქალაქო განათლებაში „ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ“
4. „ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ“ - <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680496561>
5. დ.ლორთქიფანიძე, დიდაქტიკა, 1986.
6. ქ. ჭკუასელი, ი. ჭკუასელი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, 2012
7. ი. ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი, 1938, გვ. 321.
8. ВЛАДИМИР ОСИПОВ /СОЦИАЛЬНЫЕ ФУНКЦИИ СИСТЕМЫ ОБРАЗОВАНИЯ/.

Article received: 2018-06-13